



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მკაცრად გმობს ნებისმიერი იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ჩართულია ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მხარდამჭერ პროცესში.

ეროვნულ პლატფორმას, რომელიც არის ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით აღიარებული პლატფორმა, არაერთგზის უწევს მოიგერიოს თავდასხმები მის წევრ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, როგორც ხელისუფლების, ისე მისი ოპონენტების მხრიდან. ამგვარი თავდასხმები ახდენენ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უარყოფითი იარლიყების მიკუთვნებას.

აღნიშნული გახლავთ ქვეყანაში შექმნილი პოლარიზაციის მკაფიო გამოხატულება, რაც პირველ რიგში, სწორედ, საზოგადოებაზე და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე უარყოფითად აისახება და რაც დასაძლევია ევროკავშირის რეკომენდაციებითაც.

ამჯერად, ჩვენ ვაკვირდებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის მხრიდან ორი ჩვენი აქტიური წევრი ორგანიზაციის დისკრედიტაციის მცდელობას. ასევე, ერთგვარი კამპანიის დაანონსებას, სადაც ყოფილი მაღალჩინოსანი თითქოს „გონგო“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ამხელს. ეს კამპანია ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, გადმოიტანს პოლარიზაციის პროცესს უკვე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სექტორში, გაყინავს ყველა სახის 12 პუნქტზე მიმდინარე სამუშაო პროცესს და თავის მხრივ მისცემს ხელისუფლებას დამატებით საფუძველს ისაუბროს ქვეყნის მთავარი მიზნის, წლის ბოლოს, კანდიდატი სტატუსის მინიჭების შეუსრულებლობაზე.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, ეროვნული პლატფორმის მიერ საარჩევნო სამუშაო ჯგუფში წარდგენილი ორგანიზაციების არანაირი ურთიერთჩანაცვლება არ ხდება. ეროვნულმა პლატფორმამ პარლამენტს 4 ორგანიზაცია წარუდგინა საარჩევნო სამუშაო ჯგუფში. ესენი არიან: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და საზოგადოებრივი

დამცველი. ყველა მათგანი ეროვნული პლატფორმის მიერ შერჩეულია იმ გარემოებათა გამო, რომ მათ აქვთ მაღალი კვალიფიკაცია, ისინი გახლავთ ევროპის კავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეგიდით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოქმედი ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) წევრები და წლების განმავლობაში ჩართულნი არიან საარჩევნო პროცესებში. ჯერ კიდევ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ირგვლივ დაწყებულ სრულიად მიუღებელ მოვლენებს დაემატა დღეს კიდევ სამუშაო ჯგუფის დანარჩენ ორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე იერიში, რაც საფრთხეს წარმოადგენს და ჩაშლისკენ მიმართული მცდელობაა. ყველა მათგანი არის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ აქტორს, უკიდურესი თავშეკავებისკენ ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დისკრედიტაციის მცდელობისგან.

მოვუწოდებთ თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სოლიდარობისკენ, მედიას - მეტი სიფრთხილისკენ და სიღრმისეულობისკენ, ამგვარი შინაარსის საკითხების გაშუქებისას.